




საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№1, 2015





კონკურსები

2015 წლის პირველ კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

- 2015 წლის 20 თებერვალს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 250 000 ლარი), კონკურსში შემოვიდა 40 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას.
- 2015 წლის 20 თებერვალს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 300 000 ლარი), შემოვიდა 29 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას.
- 2015 წლის 10 თებერვალს გამოცხადდა კონკურსი პროექტისთვის “21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია” სცენარის შექმნის დასაფინანსებლად.

მიმდინარე პროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დღე როგორც ერთი თვე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლაკუმი“, რეჟისორი - რეზო ესაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შიშველი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია 99“, დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი ნინო ბასილია.)
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 steps production“, რეჟისორი მარიამ ხაჭვანი.)
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენიერაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ქართულ-უცხოური წარმოების პროექტი „ორმაგი უცხოები“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - უგის ოლტე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი სადიპლომო მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეჟისორი - ნათია გოგალაძე)
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მექელეხე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „REACTORMONKEY თორნიკე ბზიავა“, რეჟისორი - თორნიკე ბზიავა).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი გემი ენგური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“, რეჟისორი - ვახტანგ ვარაზი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ-ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი. (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი -ოთარ შამათავა).

„დევნილი გემი ენგური“ - რეჟ. ვახტანგ ვარაზი



- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კავკასიური ფილმოდრომი“, რეჟისორი - რუსუდან პირველი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სხვისი სახლი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბედნიერები გემოვნებაზე არ დაობენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კავკასიის კინოსერვისი“, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, რეჟისორ/ანიმატორი - ვლადიმერ სულაქველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შსგ „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაყინული შადრევნების წელიწადი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „29 +“, რეჟისორი - ივანე ბურდული).
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე „კატმანდუ - გიო მგელაძე“, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე შენი შვილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კიგრუპი“ ალექსანდრე გოგიაშვილი, რეჟისორი - თამარ შავგულიძე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტატიანა და ლილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - ვახტანგ ჯაჯანიძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერლინის ახალი კედელი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „თი-სტუდია“, რეჟისორი - თომა ჩაგელიშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორები - სალომე მაჩაიძე, თამარ ქარუმიძე, დავით მესხი).

- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქარის დევნა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps Productions“, რეჟისორი - ზურაბ დემეტრეშვილი)
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ამირი“. (საპროდიუსერო კომპანია - შპს „New Wave“, რეჟისორი - გაბრიელ რაზმაძე).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „დიდუბე, ბოლო გაჩერება“ (განმცხადებელი - შპს „რეალ - ი თი ფილმსი“, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (განმცხადებელი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „სატრფიალო. პასტორალი“ (განმცხადებელი - შპს „თოფილმი“, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „მალლა და მალლა“ (განმცხადებელი - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „თვალყური“ (განმცხადებელი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „ისტორიები საოჯახო ალბომებიდან“ (განმცხადებელი - შპს „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - ანნა ძიაპშიძე).
- განვითარდა ანიმაციური ფილმის პროექტი „მეთევზე და გოგონა“ (განმცხადებელი - შპს „20 Steps Productions“, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- განვითარდა ანიმაციური ფილმის პროექტი „განდევილი“ (განმცხადებელი - შპს „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- განვითარდა ანიმაციური ფილმის პროექტი „ბედის მამებარი“ (განმცხადებელი - შპს „სტუდია ტელეფესტი“, რეჟისორი - ამირან ისიანი).

„მექელებე“ - რეჟ. თორნიკე ბზიავა



„მამა“ - რეჟ. დავით ფირცხალავა



წლის მთავარი კინომოვლენა



„მანდარინები“ ოსკარის და ოქროს გლობუსის ნომინანტი

18 წლის შემდეგ, პირველად, ქართველი რეჟისორის ფილმი მოხვდა ოსკარის ნომინაციაში - როგორც საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი. ზაზა ურუშაძე ასევე პირველი ქართველი რეჟისორია, რომლის ქართულ-ესტონური „მანდარინები“ ამავე კატეგორიაში ოქროს გლობუსზეც წარადგინეს. შეგახსენებთ, რომ 1997 წელს საქართველოს სახელით ოსკარზე ნომინირებული იყო ნანა ჯორჯაძის ფილმი „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“

„მანდარინების“ რეჟისორი ზაზა ურუშაძე, მსახიობები - გიორგი ნაკაშიძე და მიშა მესხი, ასევე ფილმის ესტონელი პროდიუსერი - ივო ფელტი და მსახიობი ლემბიტ ულფსაკი 22 თებერვალს დოლბის კინოთეატრში ოსკარის დაჯილდოების 87-ე ცერემონიას დაესწრნენ. ოსკარი აიღო პოლონელი რეჟისორის პაველ პავლიკოვსკის ფილმმა „იდა“, თუმცა 2015 ქართული და ესტონური კინოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი წელია.





„მანდარინებზე“ გავლენიან ამერიკულ პრესაში დაიწერა არაერთი დადებითი რეცენზია. გარდა ამისა, ფილმის პოპულარობამ განსაზღვრა ქართველი რეჟისორის ნამუშევრის მომავალიც - ფილმი აპრილიდან გამოვიდა ამერიკის კინოთეატრებში, „მანდარინები“ ასევე ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ შეიძინა. ოსკარის ცერემონიამდე კი „მანდარინებმა“ საკმაოდ პრესტიჟული პრიზი მიიღო, ეს არის საერთაშორისო პრესის აკადემიის ჯილდო - „სატელიტი“ წლის საუკეთესო უცხო-ენოვანი ფილმისთვის.

ეროვნული კინოცენტრი კიდევ ერთხელ ულოცავს ფილმის რეჟისორს, შემოქმედებით ჯგუფს და მთელ საქართველოს ამ დიდ მიღწევას კულტურის სფეროში.





„სიმინდის კუნძული“ საერთაშორისო წარმატება

გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ საერთაშორისო კინოფესტივალების ფავორიტია. ფილმმა 30-ე პრიზი ფრიბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე აიღო - ის მაყურებლის რჩეული გახდა. წელს ფილმი ასევე დაჯილდოვდა შემდეგი პრიზებით:

- Best Feature Narrative : Drama (CINEQUEST Film Festival)
- Audience award (TRIESTE International Film Festival)
- Bridging the borders prize (Palm Springs International Film Festival)
- The Silver DJED Pillar, the Jury's Special award (Luxor Egyptian and European Film Festival)

„სიმინდის კუნძული“ წელს აჩვენეს სოფიასა და პორტლენდის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ასევე ბერლინალეზე გამართულ გალა საღამოზე Cinema for Peace.

„სიმინდის კუნძული“ საქართველოს სახელით წარდგენილი იყო ამერიკის კინოაკადემიის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში. იგი ოსკარის 9 ფილმიან შორტლისტშიც მოხვდა. გიორგი ოვაშვილის ფილმი 6 ქვეყნის - საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ყაზახეთისა და უნგრეთის ერთობლივი ნამუშევარია. მთავარ როლებს თურქი მსახიობი ილიას სალმანი და ქართველი დამწყები მსახიობი მარიამ ბუთურიშვილი ასრულებენ.



პოლონელი კინოპროფესიონალების ვიზიტი საქართველოში

ეროვნული კინოცენტრის მოწვევით საქართველოს პოლონელ კინოპროფესიონალებს დელეგაცია ესტუმრა. მათ შორის იყვნენ: „შემოქმედებითი ევროპის“ პოლონეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი - მალგოჟეტა კილკვეიჩი - (Creative Europe Desk, Poland), პროდიუსერები - რომან იაროში, იოანა შიმანსკა, კინოკომისიის წარმომადგენელი - დანა პოლი და პოლონეთის კინოინსტიტუტის წარმომადგენელი - მარჟენა ჩესლიკი.

19 მარტს, 15 საათზე კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პრეზენტაცია „შემოქმედებითი ევროპის შესახებ“, 20 მარტს კი ვიზიტის ფარგლებში კინოთეატრ „ამირანში“ ოსკაროსანი პოლონური ფილმის „იდას“ ჩვენება მოეწყო.

საფრანგეთის კინოცენტრის კინოკოლექციების დირექტორის ვიზიტი თბილისში

4-6 მარტს თბილისის საფრანგეთის კინოცენტრის ფილმების კოლექციების დირექტორი ეწვია. ბეატრის დე პასტრი საქართველოში ეროვნული კინოცენტრისა და კულტურის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა. მას მასპინძლობას ასევე უწევდა ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში. სამუშაო ვიზიტის მიზანი უნიკალური ქართული კინომემკვიდრეობის - კინოფირების დაცვის შესახებ გამართული კონსულტაციები იყო.

ბეატრის დე პასტრმა ჩაატარა საჯარო ლექციები კინემატოგრაფისტებისთვის, ასევე გამართა შეხვედრები ეროვნული კინოცენტრის დირექტორთან და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან.



ფესტივალები



ეროვნული კინოცენტრი ბერლინალეს კინოგაზრობაზე

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის 65-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ ევროპული კინოს ბაზრობაზე (EFM) 2015 წელს მეთედ წარსდგა.

კინოგაზრობაზე გაიხსნა საქართველოს სტენდი, სადაც ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდა ფესტივალისა და ბაზრობის სტუმრებს და კინოპროფესიონალებს როგორც ქართული კინოს დღევანდელი მდგომარეობის, ასევე ახალი ქართული ფილმებისა და მათი განვითარების სტრატეგიის შესახებ. საქართველოს სტენდზე გაიმართა შეხვედრები ეროვნული კინოცენტრის პარტნიორებთან და საერთაშორისო კოლეგებთან. ასევე დაიგეგმა არაერთი სამომავლო საერთაშორისო პროექტი.

აღსანიშნავია, რომ წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის დროს პრესტიჟულ გალა დაჯილდოებაზე „კინო მშვიდობისთვის“, წარმოდგენილი იყო 2 ქართული ფილმი - ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ ნომინაციაში ყველაზე ღირებული ფილმი (Cinema for Peace Award for The Most Valuable Movie of the Year) და გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“, როგორც საუკეთესო საერთაშორისო მწვანე ფილმი. (The International Green Film Award).

ქართული კინო სოფიას კინოფესტივალზე (5-15 მარტი)

სოფიას მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული კინო მასშტაბურად იყო წარმოდგენილი. ფესტივალის მთავარ კონკურსში მონაწილეობდა ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმი „კრედიტის ლიმიტი“. რადგან ეროვნული კინოცენტრისა და ფესტივალის თანამშრომლობის შედეგად, ფესტივალის ფოკუსში წელს საქართველო იყო (FOCUS ON GEORGIA), საზოგადოებამ დამატებით კიდევ 16 ფილმი იხილა, როგორც კინოკლასიკა, ასევე ბოლო წლების წარმატებული ნამუშევრები.

ასევე ფესტივალის ინდუსტრიულ სექციაში Sofia Meetings წელს ორი ქართული პროექტი წარადგინეს: გიორგი ოვაშვილის „ხიბულა“ და გრიგოლ აბაშიძის „მეზობლები“, ფესტივალის ჟიურის წევრებს შორის კი ლევან კოლუაშვილი და ნანა ჯორჯაძე მიიწვიეს. ნანა ჯორჯაძეს ფესტივალის ფარგლებში ასევე გადაეცა სპეციალური პრიზი კინემატოგრაფში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ფესტივალს საქართველოდან მრავალრიცხოვანი დელეგაცია დაესწრო, რომელთა შორისაც იყვნენ: გიორგი ოვაშვილი, ნანა ჯორჯაძე, ლევან კოლუაშვილი, თინათინ ყაჯრიშვილი, ლაშა ხალვაში, ნუცა ალექსი-მესხიშვილი, გრიგოლ აბაშიძე, გაგა ჩხეიძე და სხვები.

ეროვნული კინოცენტრის შესახებ პრეზენტაცია ექსპორტისა და დისტრიბუციის ხელმძღვანელმა დავით ვაშაძემ გამართა, 14 მარტს კი საქართველოს სახელით გამართული წვეულება ქართულმა მუსიკალურმა ბენდმა „Asea Sool“ დაასრულა.



უკრაინული კინოს დღეები თბილისში

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის თანადგომით, პოლიტპატიმარი რეჟისორის ოლეგ სენცოვის მხარდასაჭერად, თბილისში უკრაინული კინოს დღეები პირველად ჩატარდა. სოლიდარობასთან ერთად, ამ დღეების მიზანი, ფართო საზოგადოებისთვის თანამედროვე უკრაინული კინემატოგრაფის გაცნობაც იყო.

29 იანვარს, კინოთეატრ რუსთაველში უკრაინული კინოს დღეები ოლეს სანინის „მეგზურით“ გაიხსნა. ღონისძიება უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით „ფეესბეს“ მიერ დაპატიმრებული უკრაინელი რეჟისორის - ოლეგ სენცოვის მხარდასაჭერად გაიმართა.



„ნატვრის ხის“ დაბრუნება

12 იანვარს, კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა რესტავრირებული „ნატვრის ხის“ ჩვენება, რომელსაც საქართველოს და ესტონეთის პრემიერ-მინისტრები - ირაკლი ღარიბაშვილი და ტაავი როივასი დაესწრნენ. ჩვენებაზე ასევე მიწვეულნი იყვნენ ქართული კინოსექტორის წარმომადგენლები.

კლასიკადქცეული „ნატვრის ხის“ აღდგენა და ციფრულ მატარებელზე გადატანა, თენგიზ აბულაძის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თენგიზ აბულაძის მემორიალური მუზეუმის ინიციატივითა და ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ფილმს რესტავრაცია, ფერების და ხმის კორექცია ესტონეთში ჩატარდა. კინომემკვიდრეობის დაცვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მისი მხარდაჭერით ქართველი კლასიკოსების ფილმების აღდგენა ეტაპობრივად წლების მანძილზე ხორციელდება. 2014 წელს ასევე რესტავრაცია ჩატარდა ელდარ შენგელაიას ფილმს „ცისფერი მთები“. ფილმი წარდგენილი იყო კანის კინოფესტივალზე სექციაში Cannes Classic. ბოლო წლების განმავლობაში კინოცენტრის მხარდაჭერით აღდგენილია თხუთმეტამდე ქართული ფილმი.



CREATIVE EUROPE „შემოქმედებითი ევროპა“

ძალაში შევიდა შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის, პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“ (Creative Europe) საქართველოს მონაწილეობის შესახებ. შედეგად, იურიდიულ პირებს საქართველოდან უკვე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ შესაბამის კონკურსებში.

შეთანხმების მიხედვით საქართველოდან მონაწილეობა შესაძლებელია:

MEDIA ქვე-პროგრამაში, მიმართულებებზე:

ფესტივალები (Festivals), ტრენინგები (Trainings), აუდიტორიის განვითარება (Audience Development), ბაზრებზე წვდომა (Access to markets)

CULTURE ქვე-პროგრამაში, მიმართულებებზე:

თანამშრომლობის პროექტები (Cooperation Projects), ევროპული პლატფორმები (European Platforms), ევროპული ქსელები (European Networks), ლიტერატურული თარგმანები (Literary Translations)

აღნიშნულ მიმართულებებზე დაფინანსების კონკურსების გამოცხადება 2015 წლის მეორე ნახევრიდან იგეგმება.

„ჩემი საუბრის შემოდგომა“

რეზო ესაძეს 18 თებერვალს 80 წელი შეუსრულდა. ეროვნულმა კინოცენტრმა „ნეილონის ნაძვის ხის“ ავტორის შემოქმედებითი გზის შესახებ წიგნი გამოსცა - „ჩემი საუბრის შემოდგომა“.





Film Print N15

31 მარტს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „Film Print“-ის მეთხუთმეტე ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. ახალი, საგაზაფხულო ნომერი სოციალურ კინოსა და რეგიონალური კინოთეატრების განვითარებას მიეძღვნა.

„Film Print“-ი სამ თვეში ერთხელ გამოდის და ყოველ ჯერზე მასზე ახალი სარედაქტორო ჯგუფი მუშაობს. ამჯერად ჟურნალის რედაქტორები რეჟისორები ელენე ფასური და თორნიკე ადამაშვილი იყვნენ.

ჟურნალის საგაზაფხულო ნომერში მიმოხილულია ბოლო პერიოდში ჩატარებული კინო-ფესტივალები, ასევე მკითხველს შეუძლია გაეცნოს საინტერესო სტატიებსა და ინტერვიუებს ცნობილი კინემატოგრაფისტების შესახებ.

„Film Print“-ის მიზანია ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია. იგი უფასოდ ვრცელდება საჯარო სტრუქტურებში, უნივერსიტეტებში, ბიბლიოთეკებში, ლიტერატურულ კაფეებსა და სხვადასხვა ტელევიზიებში.

www.gnfc.ge



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge